რიტა ბოლქვაძე

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების იმპლემენტაციის პრობლემები

ნაშრომი წარმოდგენილია განათლების მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით ბოსტოღონაშვილი

პროფესორი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

თბილისი, 0178, საქართველო

ივლისი, 2018

საავტორო უფლება 2019 რიტა ბოლქვაძე

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

მე ქვემორე ხელისმომწერი ვადასტურებ, რომ გავეცანი რიტა ბოლქვაძის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების იმპლემენტაციის პრობლემები“ ვაძლევ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კომისიაში მის განხილვას განათლების მეცნიერებების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

თარიღი ___/___/___

ხელმძღვანელი: _____

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

2019 წელი

ავტორი: რიტა ბოლქვაძე

დასახელება:უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების იმპლემენტაციის პრობლემები

ფაკულტეტი : ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა

ხარისხი: განათლების მეცნიერებების მაგისტრი

თარიღი: ___/___/___

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების ნაშომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა ის მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია აკადემიური ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია სტუდენტებს შეუქმნას ის გარემო პირობები, სადაც სტუდენტები მიიღებენ ხარისხიან განათლებას, ამისათვის აუცილებელია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებამ გაიაროს ავტორიზაცია, რომელიც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისიხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმია. საქართველოში განახლებული ავტორიზაციის სტანდარტების თანახმად უსდ-ები ფასდება ავტორიზაციის შვიდი სტანდარტის მიხედვით.

სამაგისტრო ნაშრომი ეხება ავტორიზაციის მოქმედი სტანდარტების იმპლემენტაციის პრობლემებს.

თემის აქტუალობა: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ნაწილმა უკვე გაიარა (ან ვერ გაიარა) ავტორიზაცია, ნაწილთან მიმართებაში მიმდინარეობს ავტორიზაციის გეგმიური მონიტორირნგი, რაც სწორედ ახალი სტანდარტების დანერგვის პროცესთანაა დაკავშირებული. ამ თვალსაზრისით ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში უკვე დაგროვდა გარკვეული გამოცდილება, თუმცა უსდ-ს ნაწილისათვის ავტორიზაციის პროცესი ჯერ კიდევ წინაა.

წარმოდგენილი საკვალიფიკაციო ნაშრომის **მიზანია** უკვე დაგროვილი გამოცდილების - ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნების, ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებების/ოქმების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთოს ავტორიზაციის

სტანდარტების იმპლემენტაციის პრობლემები; შეფასდეს ავტორიზაციის მიმდინარე პროცესები და დაისახოს გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრის გზები.

ნაშრომის ანალიზის შედეგებიდან გამომდინარე ნათელი გახდა და გამოიკვეთა არსებული პრობლემები, როგორც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ექსპერტთა დასკვნებში, ასევე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებებში.

Resume

The higher education institution shall students create the environmental conditions where students receive a quality education, and the higher education institution must undergo authorization, which is an external mechanism for the quality of higher education institutions. The renewed authorization standards in Georgia, according to the seven standards of author

Master's thesis concerns the implementation of validation of valid standards.

The relevance of the theme: Some of the higher education institutions have already passed (or have not passed) authorization, partial regulation of authentication is underway, which is related to the introduction of new standards. From this point of view, Georgian higher education has already acquired some experience, although the authentication process for the university is still ahead.

The goal of the research is to identify the experience of authorization experts - the analysis of the authorization experts, the authorization of the decisions / protocols of the Authorization Board to identify the authorization standards for implementation; Assess the ongoing processes of authentication and set ways to solve specific problems.

Based on the results of the analysis of the work, it became clear and revealed the existing problems in higher education institutions, experts' conclusions, as well as the authorization council decisions of the higher education institution.

სარჩევი

შესავალი.....1

თავი1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები 3

§1.1 ავტორიზაციის სტანდარტები 2010 წელს 3

§1.2 უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები.....9

& 1.3 საკანონმდებლო ცვლილება 11

თავი2. უსდ-ს ავტორიზაციის იდენტიფიცირებული პრობლემები სტანდარტების მიხედვით.....14

&2.1უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება;..17

&2.2 უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა 22

&2.3 უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამები 27

&2.4 უსდ-ს პერსონალი.....30

&2.5 სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები.....31

&2.6 კვლევა განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა 33

&2.7 მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები 35

დასკვნები 38

რეკომენდაციები 41
გამოყენებული ლიტერატურა:.....43

გამოყენებული აბრევიატურის ნუსხა

ა(ა)იპ-არასამეწარმეო (არაკომერციული)იურიდიული პირი;

ა.შ-ასე შემდეგ;

ბსუ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

გრუნი-გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;

თსსუ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი;

თსუ-თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

მაგ.-მაგალითად;

სდასუ-საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

სტუ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;

უსდ-უმაღლესი საგანმანათლებო დაწესებულება;

შშმ-შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი;

შპს-შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;

ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი.

შესავალი

ავტორიზაციის სტანდარტებს და მის პროცესს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საუნივერსიტეტო ცხოვრებაში, მისი საშუალებით შეგვიძლია დავადგინოთ, რამდენად მოწესრიგებული და ორგანიზებულია სასწავლო გარემო, თითოეული სტუდენტი და ზოგადად საუნივერსიტეტო კულტურა რამდენად შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს.

ავტორიზაცია არის განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმი, რომლის მიზანია დაწესებულების (მათ შორის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების) ინსტიტუციური შეფასება და მისი ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა.(საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება №99/ნ, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ, მ. 5.) საავტორიზაციო პროცესი საშუალებას იძლევა შეფასდეს დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება; ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა; საგანმანათლებლო პროგრამები; პერსონალი; სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები; კვლევითი საქმიანობა და ინტერნაციონალიზაცია; მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები შეესაბამება საქართველოს უმაღლესი განათლების მიზნებისა და ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის მოთხოვნებს.

საქართველოში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები ეფუძნება უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს (ESG 2015 http://erasmusplus.org.ge/files/publications/ESG%202015.pdf ([გამოხმობის ბოლო თარიღია 12.06.2019]),

რაც აისახა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 5 მაისის ბრძანებაში (ბრძანება№77/ნ) (https://matsne.gov.ge/ka/document/view/3658758?publication=0 გამოხმობის ბოლო თარიღია 12.06.2019), რითაც დამტკიცდა ავტორიზაციის ახალი სტანდარტები. საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში ამჟამად განხორციელებული ავტორიზაციის პროცესები სწორედ ამ ახალი სტანდარტების საფუძველზე მიმდინარეობს.

სამაგისტრო ნაშრომი ეხება ავტორიზაციის მოქმედი სტანდარტების იმპლემენტაციის პრობლემებს. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ნაწილმა უკვე გაიარა (ან ვერ გაიარა) ავტორიზაცია, ნაწილთან მიმართებაში მიმდინარეობს ავტორიზაციის გეგმიური მონიტორირნგი, რაც სწორედ ახალი სტანდარტების დანერგვის პროცესთანაა დაკავშირებული. ამ თვალსაზრისით ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში უკვე დაგროვდა გარკვეული გამოცდილება, თუმცა უსდ-ს ნაწილისათვის ავტორიზაციის პროცესი ჯერ კიდევ წინაა. ამ მხრივ სამაგისტრო თემაში განსახილველი საკითხები საინტერესო იქნება არამარტო ცალკეული უსდ-სათვის, არამედ ზოგადად ავტორიზაციის პროცესის შეფასებისათვის. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ეს საკითხი დღემდე არ გამხდარა კვლევის საგანი. ამდენად ამ მიმართულებით კვლევის ჩატარება წარმოადგენს სიახლეს და ორიგინალურია.

წარმოდგენილი საკვალიფიკაციო ნაშრომის მიზანია უკვე დაგროვილი გამოცდილების - ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნების, ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებების/ოქმების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთოს ავტორიზაციის სტანდარტების იმპლემენტაციის პრობლემები; შეფასდეს ავტორიზაციის მიმდინარე პროცესები და დაისახოს გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრის გზები.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად დავისახეთ შემდეგი ამოცანები:

- სამაგიდე კვლევა: ავტორიზაციის სტანდარტებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზის მოკლე მიმოხილვა;
- ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნების განხილვა;
- ავტორიზაციის საბჭოების მიერ შედგენილი ოქმების განხილვა;

- დასკვნების და რეკომენდაციების შემუშავება

თავი1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები

§1.1 ავტორიზაციის სტანდარტები 2010 წელს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა მიიღო ბრძანება, რომლის თანახმად 2010 წლიდან 2017 წლამდე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები ეხებოდა მხოლოდ სამ ძირითად სტანდარტს:

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- მატერიალური რესურსი;
- ადამიანური რესურსი

თითოეული სტანდარტის დაკმაყოფილება სხვადასხვა კრიტერიუმის დაკმაყოფილების საფუძველზე იქნებოდა შესაძლებელი, ხოლო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში განხორციელებული ავტორიზაციის პროცესის დასრულების შემდეგ თუკი უნივერსიტეტი ამ სამ ძირითად სტანდარტს აკმაყოფილებდა მას ენიჭებოდა ავტორიზაცია 5 წლის ვადით განსხვავებით დღევანდლისგან, რადგან კანონში ცვლილებების თანახმად უსუდ-ს ავტორიზაცია ენიჭება 6 წლის ვადით. (საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ მ.56)

ქვემოთ მოკლედაა განხილული თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი ავტორიზაციის სტანდარტები დაკმაყოფილებული

საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტი დაკმაყოფილებულია თუ:

ა) დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლოპროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი

კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები);

ბ) დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესების შესახებ;

გ) საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის შედეგები აღწერილია დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციებით და შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ დარგობრივ სტანდარტებს;

დ) დაწესებულებას თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული

განათლების აღიარების წესები;

ე) დაწესებულება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევანის გამჭვირვალობას;

ვ) დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმი;

ზ) საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სათანადო კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალის,მასწავლებელთა, მკვლევართა ან მოწვეული პერსონალის მიერ;

თ) დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა,რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.(საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ, მ.9. ბოლო ნახვა 27.06.2019)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი

სტანდარტი დაკმაყოფილებულია, თუ:

ა) დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო და კვლევით პროგრამებ ს, მათ შორის:

ა.ა) ერთ მისამართზე 700 კვ.მ შენობა-ნაგებობ ათა საერთო ფართი;

ა.ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი , მათ შორის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერები;

ბ) დაწესებულების სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები უზრუნველყოფს დაწესებულების მისიით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას;

გ) დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;

დ) დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

დ.ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

დ.ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

დ.გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ.დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ე) დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე

სტუდენტებისათვის;

ვ) მატერიალური რესურსი, მათ შორის, საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი პროგრამული

უზრუნველყოფის კომპიუტერები და ინტერნეტი ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და აკადემიური

პერსონალისათვის;

ზ) საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში;

თ) დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას, ასევე უზრუნველყოფილია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობა;

ი) დაწესებულებაში არსებობს ბიბლიოთეკის კატალოგი, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებ ი და

აუცილებელი ინვენტარით აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი;

კ) დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;

ლ) ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, აკადემიური პერსონალი, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;

მ) უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევების დაფინანსება

ნ) შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.გასაუმჯობესებლად.(საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ, მ.10. ბოლო ნახვა 27.06.2019

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი

სტანდარტი დაკმაყოფილებულია, თუ:

ა) დაწესებულების აკადემიური პერსონალის, მოწვეული პერსონალის, მკვლევართა და მასწავლებე ლთა კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

ბ) ავტორიზაციის მიზნებისთვის ერთი სრული პროფესორი ეთვლება მხოლოდ ერთ უნივერსიტეტს,მხოლოდ ორ სასწავლო უნივერსიტეტს, ან მხოლოდ ორ კოლეჯს, ან სასწავლო უნივერსიტეტსა და კოლეჯს,პროფესორის არჩევით; ხოლო ასოცირებული პროფესორი ეთვლება მხოლოდ ორ დაწესებულებას პროფესორის არჩევით. სრული ან ასოცირებული პროფესორის მიერ ორ ან მეტ დაწესებულებაში სრული ან ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დაკავება მოწმდება საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემების შესაბამისად;

გ) დაწესებულებაში სტუდენტისა და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა განისაზღვრება დაწესებულების სახის მიხედვით:

გ.ა) კოლეჯში – მინიმუმ ერთი სრული, ასოცირებული ან ასისტენტ-პროფესორი 40 სტუდენტზე, მაგრამ არანაკლებ 10 პროფესორისა ;

გ.ბ) სასწავლო უნივერსიტეტში – არა უმეტეს 5 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში მინიმუმ ერთი სრული ან ასოცირებული პროფესორი 50 სტუდენტზე, 6-დან 12 საგანმანათლებლო პროგრამამდე განხორციელების შემთხვევაში – მინიმუმ ერთი სრული ან ასოცირებული პროფესორი 60

სტუდენტზე, 12 და მეტი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში – მინიმუმ ერთი სრული ან ასოცირებული პროფესორი 70 სტუდენტზე, მაგრამ არანაკლებ 15 სრული, ასოცირებული ან ასისტენტ- პროფესორისა;

გ.გ) უნივერსიტეტში – არა უმეტეს 11 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში მინიმუმ

ერთი სრული ან ასოცირებული პროფესორი 50 სტუდენტზე, 12- ი დან 24 საგანმანათლებლო პროგრამამდე განხორციელების შემთხვევაში – მინიმუმ ერთი სრული ან ასოცირებული პროფესორი 60 სტუდენტზე, 24 დამეტი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში – მინიმუმ ერთი სრული ან ასოცირებული პროფესორი 70 სტუდენტზე, არანაკლებ 25 სრული, ასოცირებული ან ასისტენტ-პროფესორისა;

დ) საგანმანათლებლო პროგრამა, გარდა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისა,არ ხორციელდება მხოლოდ მოწვეული პერსონალის, მკვლევრების ან მასწავლებლების მიერ;

ე) აკადემიური პერსონალის შერჩევა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებისა დადაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;

ვ) აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან, მკვლევრებთან და მასწავლებლებთან შრომითიხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი(საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ, მ.11. [ბოლო ნახვა 27.06.2019]

§1.2 უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხის გაუმჯობესებისათვის უმნიშვნელოვანესია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების რეფორმა, რაც ხელს უწყობს განვითარებაზე ორიენტირებული და შედეგზე დაფუძნებული ხარისხის შეფასების სისტემის ჩამოყალიბებას. უმაღლესი განათლების მოდერნიზაციის ევროპული დღის წესრიგისა და ბოლონიის პროცესის მოთხოვნების შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმები უნდა შეესაბამებოდეს ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულ სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს (ESG 2015).

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქართველოში ESG-ს სტანდარტების მიღების და სტანდარტების შესაბამისი ცვლილებების მიზანი იყო ENQA-ს წევრობის სტატუსის მოპოვება, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი დაარსების დღიდან აქტიურად არის ჩართული უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) ღონისძიებებში. 2013 წლის 22 ნოემბერიდან 2019 წლის 25 აპრილამდე განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) აფილირებული ორგანიზაციის სტატუსით სარგებლობდა.

ცენტრმა 2018 წლის თებერვალში ოფიციალურად განაცხადა ENQA-ში გაწევრიანების სურვილი, ხოლო 21 აგვისტოს წარადგინა თვითშეფასების ანგარიში .

2019 წლის 25 აპრილს, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) საბჭოს გადაწყვეტილებით, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს მიენიჭა ENQA-სწევრის სტატუსი ხუთი წლის ვადით. საბჭომ დაასკვნა, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებთან და სახელმძღვანელო პრინციპებთან (ESG 2015) აკმაყოფილებს ENQA-ს წევრობის კრიტერიუმებს (https://eqe.ge/geo/static/523/Internationalization/ [გამოხმობის ბოლო თარიღია 14.06.2019])_2005 წლის შემდეგ მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული, როგორც ხარისხის უზრუნველყოფაში, ასევე ბოლონიის პროცესის ისეთ სამოქმედო პრინციპებთან მიმართებაში, როგორიცაა კვალიფიკაციების ჩარჩო, აღიარება და სწავლის შედეგების გამოყენების ხელშეწყობა. უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელმა მინისტრებმა 2015 წლის მაისში მიიღეს "უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები - 2015" (შემდგომში ESG) (http://erasmusplus.org.ge/files/publications/ESG%202015.pdf [გამოხმობის ბოლო თარიღია 14.06.2019]).

ESG-ის ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს სწავლასა და სწავლებაში ხარისხის უზრუნველყოფის ერთიან გაგებას, როგორც საზღვრებს მიღმა ასევე სტუდენტებს პერსონალს,დამსაქმებლებს და გარე პარტნიორებს.

ESG-ი ფოკუსირებულია უმაღლეს განათლებაში სწავლასა და სწვლების ხარისხის უზრუნველყოფაზე მათ შორის სასწავლო გარემოზე და კვლევასა და ინოვაციასთან შესაბამის კავშირებზე.

უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეს ახასიათებს პოლიტიკური და უმაღლესი განათლების სისტემების, სოციოკულტურული და საგანმანათლებლო ტრადიციების, ენების, მისწრაფებებისა და მოლოდინების მრავალფეროვნება, რაც ხარისხსა და

ხარისხის უზრუნველყოფასთან მიმართებაში ერთიან მონოლითურ მიდგომას შეუსაბამოს ხდის. ESG განსაზღვრავს კრიტერიუმებს ევროპულ დონეზე, რომლის საფუძველზეც ხდება ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებისა და მათი საქმიანობის შეფასება რაც, უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში, ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების მიერ ერთი და იგივე პრინციპების ერთგულებასა და საკუთარი კონტექსტის მიზნებისა და მოთხოვნების შესაბამისად პროცესებისა და პროცედურების ფორმირებას განაპირობებს.((ESG 2015 http://erasmusplus.org.ge/files/publications/ESG%202015.pdf ([გამოხმობის ბოლო თარიღია 12.06.2019]),

& 1.3 საკანონმდებლო ცვლილება

2015 წლიდან უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის რეფორმის ფარგლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა. რეფორმის მიზანია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების ხარისხის გაუმჯობესება და სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფა, რასაც თან სდევდა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები.

ავტორიზაციის განახლებული სტანდარტები და პროცედურები საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმების პირობების შესრულებას უზრუნველყოფს. რეფორმა შეფასების მეთოდოლოგიისა და შეფასების სტანდარტების ცვლილებას გულისხმობს. აქამდე იყო სამი ძირითადი სტანდარტი, რომლის მეშვეობითაც ფასდებოდა ის რესურსი, რომელსაც საგანმანათლებლო დაწესებულება გეგმავდა საგანმანათლებლო პროცესის განსახორციელებლად. ეს მიდგომა არ

იძლეოდა საგანმანთლებლო დაწესებულების საქმიანობის პროცესისა და მიღწეული შედეგის შემოწმების შესაძლებლობას.

2017 წლის 5 მაისს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის განახლებული სტანდარტები და პროცედურები, რომლის თანახმადაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები ეხება:

ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისიას და სტრატეგიულ განვითარებას;

ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციულ სტრუქტურას და მართვას;

გ) საგანმანათლებლო პროგრამებს;

დ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალს;

ე) სტუდენტებს და მათი მხარდაჭერის ღონისძიებებს;

ვ) კვლევას, განვითარებას ან/და სხვა შემოქმედებით საქმიანობას;

ზ)მატერიალურ, საინფორმაციო და ფინანსურ რესურსებს. (https://matsne.gov.ge/ka/document/view/3658758?publication=0 გამოხმობის ბოლო თარიღია 19.06.2019).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ძველი სტანდარტებისგან განსხვავებით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება არის გამოტანილი, როგორც ცალკე სტანდარტი რადგან სწორედ ეს არის ძირითადი დოკუმენტი, რომლის მეშვეობით შეგვიძლია, დავინახოთ დაწესებულების ყველა სახის დაგეგმარება - ფინანსური, ინფრასტრუქტურული, პერსონალთან და პროგრამებთან დაკავშირებული.

ცვლილება შევიდა ავტორიზაციის დებულებაშიც, კანონში ცვლილებამდე ავტორიზაცია განიმარტებოდა შემდეგნაირად: „ავტორიზაცია არის დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის გარე შეფასების მექანიზმი, რომლითაც ხორციელდება შიდა შეფასების (თვითშეფასება) დადასტურება. (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება №99/ნ, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ, მ. 5). თვითშეფასებას ახორციელებს დაწესებულება საკუთარი საქმიანობის შეფასების წესის შესაბამისად და ადგენს ყოველწლიურ თვითშეფასების ანგარიშს, ხოლო გარე შეფასებას – საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში – ცენტრი)“.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის ბრძანების №99/ნ, შემდეგ „ავტორიზაცია არის განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმი, რომელსაც ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში – ცენტრი), (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება №99/ნ, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ, მ. 5.) ავტორიზაციის მიზანია დაწესებულების ინსტიტუციური შეფასება და მისი ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა. საავტორიზაციო შეფასება ხორციელდება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ და ეფუძნება დაწესებულების თვითშეფასებითა და საავტორიზაციო ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზს.“ (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 5მაისის ბრძანება №77/ნ, "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.)

კანონში ცვლილების თანახმად, ავტორიზაციის შესახებ ან ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება დაწესებულების სტატუსის მაძიებლად ცნობიდან 180 კალენდარული დღის განმავლობაში.

თავი2. უსდ-ს ავტორიზაციის იდენტიფიცირებული პრობლემები სტანდარტების მიხედვით

ნაშრომზე მუშაობისას დამუშავებულ იქნა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნები, რომლებიც ეფუძნებადაწესებულების მიერ წარდგენილ თვითშეფასებას, ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებულ ინტერვიუირების შედეგებს, ავტორიზაციის საბჭოს ოქმებს სადაც ხდებოდა ექსპერტთა დასკვნების, დაწესებულების მიერ წარდგენილ თვითშეფასების და ზეპირი არგუმნტების შეფასება. ამის შემდგომ უკვე უნივერსიტეტებს მიენიჭათ ან არ მიენიჭათ ავტორიზაცია.

ექსპერტთა დასკვნებისა და საბჭოს ოქმების გაცნობისას გამოიკვეთა ძირითადი პრობლემები თითოეული სტანდარტის მიხედვით. იყო შემთხვევები, როცა ავტორიზაციის საბჭოს დასკვნები და საბჭოს ოქმები არ ეთანხმებოდა ერთმანეთს, ასევე

იყო შემთხვევები, როცა ავტორიზაციის ექსპერტები რომელიმე სტანდარტს ანიჭებდნენ შფასებას „მეტწილად შესაბამისობაშია“, ხოლო ავტორიზაციის საბჭოს წევრებს აქვთ იგივე სტანდარტი შეცვლილი და მინიჭებული აქვთ შეფასება მაგ: „შესაბამისობაშია“, არსებული ინფორმაციის გაცნობისას აღმოჩნდა, რომ მიუხედავად იმისა უნივერისტეტს ჰქონდა ავტორიზაცია მინიჭებული თუ არა თითოეულ სტანდარტებში მაინც იყო პატარ-პატარა ხარვეზები და ავტორიზაციის ექესპერტთა მიერ იყო გაცემული რეკომენდაციები, შესაბამისად საჭიროდ ჩავთალე წარმომედგინა იმ სტანდარტების და ქვესტანდარტების შეფასებები,და კონკრეტულად რა პრობლემები იყო უნივერსიტეტებში თითოეულ სტანდართთან მიმართებაში.

იქამდე სანამ უშალოდ განხილვას დავიწყებ უსდ-ებში პრობლემების იდენტიფიცირებას, მოკლედ განვიხილავ თუ საერთოდ რა შემთხვევაშია სტანდარტი დაკმაყოფილებული.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 31 იანვრის ბრძანება №07/ნ -ის თანახმად

1. უსდ-ს მისია და სტრატეგიული განვითარება
   უსდ-ს მისიის შესახებ განაცხადი განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სფეროში და ფართო საზოგადოებრივ კონტექსტში. უსდ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება დაწესებულების მიზნებს და აღწერს ამ მიზნების მიღწევის საშუალებებს
2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ეფუძნება განათლების სექტორის საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვის პროცესში მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიან გამოყენებას. ეს მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში, და ხელს უწყობს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დანერგვას
3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროცედურები საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შედგენის, დამტკიცების, შემუშავებისა და გაუქმებისათვის. პროგრამის სწავლის შედეგები ცხადად არის განსაზღვრული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს თავისი მიზნებისა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას

4. უსდ-ის პერსონალი

   უსდ უზრუნველყოფს იმას, რომ მასში დასაქმებული (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე) პერსონალი მაღალკვალიფიციურია, ისე, რომ უნარი შესწევს ეფექტიანად მართოს საგანმანათლებლო, სამეცნიერო და ადმინისტრაციული პროცესები და მიაღწიოს დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. თავის მხრის, დაწესებულება მუდმივად უზრუნველყოფს საკუთარ პერსონალს პროფესიული განვითარების შესაძლებლობებით და გაუმჯობესებული სამუშაო პირობებით

5. სტუდენტები და მხარდაჭერის სერვისები.

   უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტრებული გარემოს განვითარებას, სთავაზობს სტუდენტებს შესაბამისს სერვისებს, მათ შორის კარიერული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმებს; იგი ასევე უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებულობას, განახორციელებს განსხვავებულ აქტივობებს და ახალისებს სტუდენტების ჩართულობას ამ აქტივობებში. უსდ იყენებს სტუდენტების გამოკითხვების შედეგებს სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებების გაუმჯობესების მიზნით

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

   უმაღლესი სასწავლო დაწესებულება, მისი ტიპისა და კონკრეტული სეფერო(ებ)ის გათვალისწინებით, მუშაობს კვლევითი ფუნქციების გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს სათანადო პირობებს კვლევითი საქმიანობის მხარდასაჭერად და აუმჯობესებს კვლევითი საქმიანობის ხარისხს.

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ს მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფენ დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.(საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 31 იანვრის ბრძანება №07/ნ - ვებგვერდი, 31.01.2018წ).

&2.1უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება;

როგორც ვიცით, მისია არის ორგანიზაციის მოკლე განაცხადი საკუთარი იმიჯისა და ძირითადი პრინციპების შესახებ. იგი აყალიბებს მიზანსა და რეალისტურ იდეალურ სურათს. შიდა მიზნებისთვის, მისიის განაცხადი უნდა იძლეოდეს მიმართულებას და იყოს გზამკვლევი და მოტივატორი როგორც მთლიანად ორგანიზაციისათვის, ასევე მისი ცალკეული წევრისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტების ნაწილმა გაიარეს ავტორიზაცია, მათ მაინც ქონდათ ხარვეზი ავტორიზაციის ახალი სტანდარტების პირველ ქვესტანდარტთან, რომელიც ეხება დაწესებულების მისიას და სტრატეგიულ განვითარების გეგმას,

შპს უმაღლეს სასწალებელ ჯორჯიას ექსპერტთა დისკუსიებიდან და ინტერვიუებიდან გამომდინარე გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები, რომ დაწესებულების მისია არის საკმაოდ ფართო და მისიის განაცხადში არ არის გათვალისწინებული უნივერსიტეტის როლი, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ უსდ-ს ახალი სტანდარტების შესაბამისად აქვს გაწერილი დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა, თუმცა ინტერვიუებიდან აღმოჩნდა, რომ დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა მხოლოდ და მხოლოდ ფურცელზე არსებულ დოკუმენტად რჩება, უნივერსიტეტის წარმომადგენლების მიერ მიწოდებული ინფორმაცია, რომ უსდ-ს მისიის, და სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში მონაწილეობდა საუნივერსიტეტო საზოგადოება აღმოჩნდა ცრუ ინფორმაცია, რადგან ინტერვიუების დროს სტუდენტებმა და ვერც

აკადემიური პერსონალის ნაწილმა ვერ გადმოსცა თუ რა იყო დაწესებულების მისია და მისიის განსახორციელებლად რა უნდა გაკეთებულიყო სამომავლოდ, ჯორჯიას სტრატეგიული განვითარების გეგმის დიდი ნაწილი ეხება მეთოდის ზოგად აღწერას, რომელიც შესაძლოა გამოყენებული იქნეს სხვა ნებისმიერი ინსტიტუციის მიერ, უკეთესი იქნება თუ დაწესებულებას სტრატეგიულ გეგმაში საუბარი ექნება არა ზოგად მეთოდებზე არამედ უშუალოდ იმ მეთოდებზე, რომელსაც ის გამოიყენებს თავისი მისიის და მიზნების შესასრულებლად(უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა,შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯია https://eqe.ge/res/docs/HighSchoolGeorgia-FinalReportGEO3.pdf [გამოთხოვის ბოლო თარიღია 27.06.2019].)

გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტშიც მისიის განაცხადი არის ზოგადი, მართალია ამ უნივერსიტეტის შემთხვევაში მისია გაზიარებულია საუნივერსიტეტო საზოგადოების ნაწილისთვის, თუმცა უკეთესი იქნება, თუ უნივერსიტეტი ამ კუთხით იმუშავებს და დაწესებულების მისია ცნობილი იქნება ყველასთვის, ასევე უკეთესი იქნება თუ მისიის განაცხადი იქნება მეტად დაკონკრეტებული. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა შესაბამება ორგანიზაციის მიერ ფორმულირებულ მიზნებს, თუმცა უკეთესია სტრატეგიული გეგმა იყოს უფრო დაწვრილებით მიზნებისა და ვადების შესახებ, ექსპერტთა ჯგუფის მიერ რობაქიძის სტრატრეგიული გეგმა შეფასებული იყო როგორც ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტებთან, თუმცა ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმში ყურადღება არ ყოფილა გამახვილებული კონკრეტულ სტანდარტთან მიმართებაში, ოქმში არ ჩანს არც დაწესებულების არგუმენტაცია და არც ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის არგუმენტი, თუ რის საფუძველზე მოხდა ავტორიზაციის სტანდარტის შეფასების ცვლილება. (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა შპს გრიგოლ რობაქიძის ავტორიზაციის შესახებ, https://eqe.ge/geo/decisions/show/8583 [გამოთხოვის ბოლო თარიღია 17.06.2019]).

მსგავსი მდგომარეობა შეინიშნება ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც, მიუხედავად იმისა, რომ თსუ ნათლად და მკაფიოდ აღწერს თავის მისიას როგორც მრავალი მიმართულების მქონე სამეცნიერო უნივერსიტეტი და ქართული კულტურული და სამეცნიერო ტრადიციების ნაწილი, თსუ-ს მისია არის ახლად მიღებული და არ არის საუნივერსიტეტო სზოგადოებისთვის ცნობილი.უკეთესი იქნება, თუ უნივერსიტეტის მისია და ღირებულებები მთელი საუნივერსიტეტო საზოგადოების მიერ იქნება გაზიარებული და გაცნობიერებული, თუმცა საბჭოს სხდომაზე რექტორის განმარტებით ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასება შეუსაბამო იყო რეალობასთან და ისინი თვლიდნენ, რომ უნივერსიტეტის მისია სრულიად შეესაბამებოდა ავტორიზაციის სტანდარტებს, რაც შემდგომ გაზიარებულ იქნა საბჭოს წევრების მიერ, თუმცა კონკრეტულად რის საფუძველზე გაურკვევლი რჩება, რადგან როგორც წესი ავტორიზაციის სხდომის ოქმები ძალიან მცირეა და ზოგად ინფორმაციას მოიცავს უშუალოდ გადაწყვეტილებების შესახებ, ამიტომ უკეთესი იქნება თუ სხდომის ოქმის შედგენისას მეტი ყურადღება დაეთმობა კონკრეტულ არგუმენტებს.

უსდ-ს ექსპერტთა დასკვნის საფუძველზე ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია შეფასებულია როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო უსდ-ს ავტორიზაციის გადაწყვეტილებაში ნათლად ჩანს, რომ ცვლილებაა შეტანილი ექსპერტთა გადაწყვეტილებაში და სტანდარტი შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია. ექსპერტთა დასკვნიდან ჩანს, რომ თსუ-ს აქვს ახლადმიღებული მისიის განაცხადი, რომელიც ჯერ მხოლოდ დაწერილი დოკუმენტია, ინტერვიუების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის წევრი აღნიშნავს, რომ დაწერილ მისიას არ იცნობს საუნივერსიტეტო საზოგადოება, ზეპირი მოსმენისას რექტორი განმარტავს, რომ დაწესებულების სტრატეგიის შემუშავებაში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული პირი, ტარდებოდა ყოველკვირეული შეხვედრები, სადაც ყველას შეეძლო თავისუფლად გამოეხატათ თავიანთი მოსაზრება. ეს იყო ერთადერთი არგუმენტი და ამ არგუმენტის საფუძველზე საბჭოს გადაწყვეტილებით ეს სტანდარტი ფასდება, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტებთან.

ამ სტანდარტთან დაკავშირებით თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტში წამოიჭრა შემდეგი სახის პრობლემა: ავტორიზაციის ექსპერტთა რეკომენდაციით, დაწესებულებას უნდა გადაეხედა არსებული მისიისთვის მეტად საჭიროებდა დაკორექტირებას და აქცენტი უნდა გაკეთებულიყო რეალისტურ სურათზე, ავტორიზაციის სხდომის ოქმზე დაწესებულების წარმომადგენლის მხრიდან წარდგენილი არგუმენტის საფუძველზე, დაწესებულების მისიაში აქცენტი გაკეთებულია სწავლაზე და კვლევაზე, კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობაზე და საერთაშორისო ინტეგრაციაზე, ხოლო ექსპერტთა შენიშვნა იყო, რომ მისიაში გაწერილი უნდა ყოფილიყო და ყურადღება გამახვილებული ბიუჯეტის ზრდაზე. უნდა აღინიშნოს, რომ კონკრეტული სტანდარტის შემთხვევაში დაწესებულება აკმაყოფილებდა ავტორიზაციის სტანდარტს და შესაბამისად აუცილებელი არ იყო მიეროთ ექსპერტთა რეკომენდაცია.(სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა, https://eqe.ge/geo/decisions/show/8449 [გამოთხოვის ბოლო თარიღია 19.06.2019].

შპს ქართულ-ევროპული უმაღლესი სასწავლებლის მისია შეფასებულია როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტებთნ, გამომდინარე იქიდან რომ დაწესებულების მისია ერთი წლის განმავლობაში აქვს ორჯერ დამტკიცებული, ასევე ექსპერტთა ინტერვიუებიდან აღმოჩნდა, რომ მისიის განაცხადის ჩამოყალიბებაში არ მიუღიათ მონაწილეობა არც აკადემიურ პერსონალს და არც სტუდენტებს, რაც უშუალოდ წინააღმდეგობაშია ავტორიზაციის სტანდარტის შესრულოებასთნ.

შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტს მისია აქვს ძალიან ბუნდოვანი. მის მიერ თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი მისია და მის ვებგვერდზე არსებული მისიის ქართული და ინგლისური ვერსიები სრულიად განსხვავდება ერთმანეთისგან, რაც ეჭვის საფუძველს ქმნის, რომ უნივერსიტეტს გაუაზრებლად და შესაძლოა სხვა უნივრსიტეტისგან ჰქონდა გადმოტანილი მისიის განაცხადი.(უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ, [გამოთხოვის ბოლო თარიღია 19.06.2019]).

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში არის მითითებული, რომ დაწესებულებას აქვს სწორად განსაზღვრული მისია, თუმცა უკეთესი იქნებოდა დაეკონკრეტებინა ექსპერტს თუ რას გულისხმობდა სიტყვა „ სწორად“ რადგან უნივერსიტეტების უმეტესობას კანონის შესაბამისად აქვს შექმნილი დაწესებულების მისია, თუმცა მისი შესრულება სულ სხვა სირთულეებს წარმოადგენს, ამიტომ უკეთესი იქნება თუ სტანდარტის შეფასებისას ნათლად დააფიქსირებს ექსპერტი იმ მიზეზებს და არგუმენტებს რის შედეგად ხდება სტანდარტის შეფასება.(უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა და საბჭოს სხდომის ოქმი შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ;https://eqe.ge/geo/decisions/show/8429 [გამოთხოვის ბოლო თარიღია 23.06.2019]).

ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ შემუშავებული დასკვნიდან დგინდება, რომ ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტს ქონდა დანერგილი სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგის მექანიზმი, „ასევე დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა რამდენიმე ასეულ გვერდიანი დოკუმენტი, სადაც დეტალურად იყო გაწერილი ინფრასტრუქტურლი პროექტებიდან დაწყებული მობილური აპლიკაციების შექმნით დამთავრებული, შესრულების ვადები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები, ინტერვიუების დროსაც დარწმუნდნენ ექსპერტები, რომ დაწესებულება ამ მიმართულებით ნამდვილად ეფექტურად მუშაობდა და ახორციელებდა განსაზღვრულ ვადებში დაგეგმილი აქტივობების შესრულებას.[“https://eqe.ge/res/docs/.%E1%83%A1.%E1%83%93.%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%98N311.03.2019.pdf, [ბოლოს გამოთხოვილი ინფორმაცია 17.06.19] სწორედ მსგავსი შეფასების შემდეგ ვხედავ ავტორიზაციის სტანდარტების ხარვეზს, რადგან მართალია ავტორიზაციის სტანდარტებში დეტალურად არის გაწერილი თუ რას უნდა აკმაყოფილებდეს უნივერსიტეტი, შესაბამისად რასაც ავტორიზაციის სტანდარტი ითხოვდა უნივერსიტეტს აქვს შესაბამისობაში ყველაფერი დოკუმენტის სახით, ფურცელზე გაწერილი, თუმცა ვფირობ რომ თითოეული სტანდარტის დაკმაყოფილებისთვის აუცილებელია უშუალოდ ფურცლებზე გაწერილი

დოკუმენტების განხორციელების ხარისხის შემოწმება, რაც არ ჩანს ავტორიზაციის პროცესისას.

&2.2 უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან მიმართებაში იმ უნივერსიტეტბთაგან, რომელთაც მიენიჭათ ავტორიზაცია განსაკუთრებული სირთულეები გვხდება ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ქუთაისის და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტებში, ასევე წარმოვადგენ ანალიზს შპს ქართულ-ევროპულ უმაღლეს სასწალებელისას, რომელმაც განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო კონკრეტულ სტანდარტთან მიმართებით

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზაციული სქემიდან გამომდინარე უნივერსიტეტს აქვს საკმაოდ რთული ორგანიზაციული სტრუქტურა, მას არ გააჩნია იერარქიული სტრუქტურა მისი სტრუქტურული ერთეულების უმეტესობა რექტორის დაქვემდებარებაშია, ასევე უნივერსიტეტში გამოკვეთილია მენეჯმენტის ორი ხაზი, რაც გულისხმობს, რომ ნაწილი სტრუქტურული ერთეულებისა როგორც რექტორის ასევე ადმინისტრაციის დაქვემდებარებაშია და ამ ფაქტთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლის არგუმენტით რექტორისადმი სტრუქტურული ერთეულების დაქვემდებარება ლოგიკურია, რადგან საქართველოს „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის თანახმად რექტორი არის „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელი. უნივერსიტეტში ცალკეულ სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებული პერსონალი ძალიან დიდი რაოდენობითაა, რომელთა ფუნქციებც თითქმის ერთნაირია, შესაბამისად არ არის საჭირო ამდენი ადამიანის მუშაობა დაწესებულებაში, და შესაძლებელია რამდენიმე სტრუქტურული ერთეულის გაერთიანება. რაც შეეხება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებს, სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს „შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“. ეს დოკუმენტი აღწერს სტუ-ს მიდგომას ხარისხის უზრუნველყოფისადმი; იგი განიხილავს პრინციპებს, რომლებიც მართავენ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას და აღწერს შიდა

ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებს, მიუხედავად ამისა, ყველა მექანიზმი არაა აქტივიზირებული რეგულარულ საფუძველზე და თანმხლები პროცესები არაა ოპტიმიზირებული, სტუდენტთა კვლევები ელექტრონულად ხორციელდება ისე რომ მათი ანონიმურობა არაა უზრუნველყოფილი, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია დაწესებულებამ უზრუნველყოს კვლევებში მონაწილეობისას სტუდენტები ინფორმირებულნი რომ იყვნენ ანონიმურობის უზრუნველყოფის ზომების თაობაზე. ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში ეს სტანდარტი შეფასებული ჰქონდათ ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტებთან, თუმცა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს ქონდათ შეფასება შეცვლილი მეტწილად შესაბამისობაშია-თი, თუმცა ოქმში საერთოდ არ არის საუბარი კონკრეტულ სტანდარტთან მიმართებით არც საბჭოს წევრების მხრიდან და არც დაწესებულების მხრიდან, საბჭოს წევრები ძირითადად ითვალისწინებენ დაწესებულების მხრიდან დაწყებულ მაშტაბურ სამუშაობს და ამის საფუძველზე აფასებს დაწესებულებას პოზიტიურად, თუმცა როგორც ავტორიზაციის სტანდარტი მოითხოვს დაწესებულების შეფასება უნდა მოხდეს არსებული რეალობიდან გამომდინარე. უნივერსიტეტს შეძენილი აქვს ანტი-პლაგიატის პროგრამა და იყენებს პლაგიატის შემთხვევის გამოსავლენად, თუმცა უკეთესი იქნება თუ უნივერსიტეტი მეტ ყურადღებას დაუთმობს პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში პრევენციის ზომებს.(უმაღლესი საგანმანათლებლო.(უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა და საბჭოს სხდომის ოქმი სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ, https://eqe.ge/geo/decisions/show/8783 [გამოთხოვის ბოლო თარიღია 10.06.2019]).

ქუთაისი უნივერსიტეტში უზრუნველყოფილი არ არის სტუდენტების წარმომადგენლობა როგორც სტრატეგიულ, ასევე გადაწყვეტილების მიმღებ, საკონსულტაციო და აღმასრულებელ ორგანოებში, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში, უნივერსიტეტში სტუდენტებს ეზღუდებათ არჩევანის გამოხატვისა და ხმის მიცემის უფლება იმ შემთხვევაში თუ მათ აკადემიური მოსწრება არ აქვთ კარგი, და ეს ახსნილი იმით, რომ ამ შემთხვევაში სტუდენტი არ არის მუდმივი წევრი უნივერსიტეტისა, როგორც ვიცით არჩევანის გამოხატვის შეზღუდვა უშუალოდ წინაამდეგობაშია კანონმდებლობასთან, რადგან სტუდენტს აქვს უფლება "საყოველთაო, პირდაპირი და

თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეულ იქნეს სტუდენტურ თვითმმართველობაში, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის მართვის ორგანოებში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდების შესაბამისად;[საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ მ.43]. ასევე უნივერსიტეტში არ არის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები დაზუსტებული, თუ კონკრეტულად ვის რა ფუნქცია-მოვალეობები ეკისრება.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს SWOT ანალიზში ბიუროკრატიული პროცესები დასაქხელებული აქვს, როგორც სუსტი მხარე, თუმცა სამოქმედო გეგმაში ყურადღება არ აქვს გამახვილებული თუ როგორ შეიძლება პრობლემის აღმოფხვრა.

წარმომადგენლობითი ორგანოები უნივერსიტეტის მაშტაბით სტრატეგიული მიზნების განხორციელებაში ხედავენ მხოლოდ საკუთარ მანდატს, ყველა სტრუქტურული ერთეული საუბრისას ყურადღებას ამახვილებს თავის ქვედანაყოფში შესასრულებელი ვალდებულების შესახებ და სხვა სტრუქტურული ერთეულის მიერ შესასრულებელი სამუშაოს შესახებ არ აქვთ ინფორმაცია, შესაბამისად სტრუქტურული ერთეულები საერთო მიზნის მისაღწევად ერთობლივად არ მუშაობენ.

ექსპერტთა დასკვნებიდან გამომდინარე უნივერსიტეტს არ ქონდა გათვალისწინებული PWC-ს რეკომენდაციები, თუმცა რექტორის არგუმენტიდან გამომდინარე უნივერსიტეტს აქვს გათვალისწინებული რეკომენდაციები, რომლის ფარგლებშიც დაწესებულებამ განახორციელოა ცვლილებები, მაგ: შეამცირა სტრუქტურული ერთეულების რაოდენობა და ა.შ ასეთი მაგალითების მიუხედავად ექსპერტთა ჯგუფის შეფასება იყო, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია“ ავტორიზაციის მოთხოვნებთან, ამიტომ უკეთესი იქნება ექსპერტთა მიერ სტანდარტის კონკრეტული შეფასების შემდეგ უფრო მეტად გამოყოს და დააკონკრეტოს ექსპერტთა ჯგუფმა ის მიზეზები, რის გამოც შეაფასა კონკრეტული სტანდარტი.

ექსპერტთა დასკვნა გვაწვდის ურთიერთ საპირისპირო ინფორმაციას, რადგან მათ მიერ დადებული შეფასების საფუძველზე ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვის შემთხვევაში თსუ-ს ეთიკის კოდექსით რეგულირდება პერსონალისა და სტუდენტების ქცევა უნივერსიტეტის ღირებულებებისა და სახელმწიფო კანონმდებლობის შესაბამისად, თუმცა დასკვნის ბოლო ნაწილში საუბარია ცალკეული ფაკულტეტის სტუდენტების ცნობადობის დაბალ დონეზე ეთიკის კოდექსთან დაკავშირებით, ასევე საბჭოს წევრების მიერ შედგენილ ოქმში წერია, რომ სტუდენტები იცნობენ ზემოთხსენებულ კოდექს,თუმცა აქ საუბარია არ არის საიდან დაასკვნეს ეს მტკიცებულება, გამომდინარე იქედან,რომ საბჭოს სხდომაზე ესწრებიან როგორც დაწესებულების წარმომადგენელები ასევე ექსპერტები კონკრეტული სიტუაციასთან დაკავშირებით არ ყოფილა მეტი არგუმენტაცია და სიზუსტე თუ რას გულისხმობდა ესქპერტთა დასკვნაში წარმოდგენილი ინფორმაცია და შემდგომ ამისა რის საფუძველზე მოხდა ავტორიზაციის საბჭოს წევრების გადაწყვეტილების ცვლილება.რეკომენდაცია.(სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა, https://eqe.ge/geo/decisions/show/8449 [გამოთხოვის ბოლო თარიღია 19.06.2019]

დაწესებულების ზოგადი ხედვა და მიდგომები ადმინისტრაციულ პოზაიციებზე დანიშვნისთვის გაწერილია „შპს ქართულ-ევროპული უმაღლესი სასწავლებლის პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში“ თუმცა არ არის რეგულაციები, რომლებშიც ნათლად იქნებოდა აღწერილი თუ როგორ იქნებოდა მართვის ორგანოებში დანიშვნის პროცედურები. მართალია უსდ-ში არსებობს საქმის წარმოების წესი, რაც შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან, თუმცა საქმის წარმოებისა და პერსონალის სამსახურის ერთადერთ პერსონალს წარმოადგენს ისევ ამ სამსახურის უფროსი, რომელიც პარალელურად ითვისებს ექიმის ფუნქციებს და პასუხისმგებელია სამედიცინო კაბინეტზე. შესაბამისად ყველა ეჭქვეშ ვაყენებთ ამ პერსონის მიერ შესრულებული საქმის ხარისხზე, რადგან ერთ დაწესებულებში ხარისხის მიმართლებითაც იმუშაოს ადამიანმა და ასევე იყოს ექიმი რთულია იმის აღქმა თუ

როგორ შეძლებს ორივე სამსახურის შესრულებას ხარისხიანად. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე სამწუხაროდ ყურდღება არ ყოფილა გამახვილებული კონკრეტულ ამ სტანდარტზე რის განხილვის შემდეგაც საინტერესო იქნებოდა დაწესებულების წარმომადგენლის არგუმენტები ამ საკითხთან დაკავშირებით. ასევე უნივესიტეტს არ ჰქონდა პლაგიატის აღმომჩენი პროგრამა ხოლო დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით მათ ავტორიზაციის ახალი სტანდარტების საფუძველზე უკვე გააფორმეს ხელშეკრულოება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან. ეთიკისა და ქცევის კოდექსში ჯიპა მკაფიოდ განმარტავს ფაკულტეტის, პერსონალის და სტუდენტთა ნორმებსა და პასუხისმგებლობებს და აღწერს ადეკვატურ დებულებებს დარღვევებისა და დისციპლინური გადაცდომების შემთხვევებში. რაც შეეხება პლაგიატის აღკვეთა ციფრული მექანიზმებით დამუშავების პროცესშია, სხვა უნივერსიტეტებთან ავტორიზაციის პროცესის განხილვისას პირველად არის ყურადღება გამახვილებული, რომ უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა თვითონვე მიაწოდეს აღმოჩენილი პლაგიატი, და იმ სანქციებზე ინფორმაცია თუ რა რეაგირება მოახდინეს ასეთის არსებობის შემთხვევაში.რეკომენდაცია.(შპს. ქართულ-ევროპულ უმაღლეს სასწალებლის ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა და საბჭოს ოქმიhttps://eqe.ge/geo/decisions/show/8449 [გამოთხოვის ბოლო თარიღია 19.06.2019]

თსუ-ს აქვს მმართველ ორგანოთა შერჩევის და დანიშვნის გამჭვირვალე, სამართლიანი, და კანონმდებლობის შესაბამისი პროცედურა. თავისუფალი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შედგება ერთი ადამმიანისგან, რომელიც აწარმოებს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის რიგ აქტივობებს პრინციპის "დაგეგმე-შეასრულე-შეამოწმე-იმოქმედე" (PDCA). ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მართალია ხელმძღვანელობს "დაგეგმე-შეასრულე-შეამოწმე-იმოქმედე"-ს პრინციპით, როგორც ეს უშუალოდ ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, თუმცა არ არის ყურადღება გამახვილებული მის მიერ შესრულებულ სამუშაოებზე, და ვფიქრობ არ არის გადამოწმებული თუ რამდენად მიმდინარეობა ამ

პრინციპის მუშაობა რეალობაში, შესაბამისად ვერ შევაფასებთ ამ ქვესტანდარტს ესე ცალსახად, რომ ის შესაბამისობაშია სტანდარტებთან, ამიტომ აუცილებელია სტანდარტის სიღრმისეულად შესწავლა და შემდეგ მისი შეფასება. თავისუფალ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტუდენტთა კორპუსის დაგეგმვის მექანიზმი. ამის უმთავრესი ამოცანაა ყველა სტუდენტისათვის მაღალი ხარისხის განათლების ხელმისაწვდომობის გარანტირება, უნივერსიტეტის რესურსების, მათ შორის, სწავლებაში ჩართული პერსონალის, ფართის, აღჭურვილობის და სტუდენტთა კონსულტირების, ზედამხედველობის და წვრთნის შესაძლებლობის კუთხით. თსსუ-ს ეთიკის კოდექსი ხშირად მიეწოდება სტუდენტებს და ინტერვიუების თანახმად ჩანს, რომ სტუდენტები კარგად არიან ინფორმირებული მათი უფლებებისა და ვალდებულებების, ასევე, გადაწერის და პლაგიატიზმის შედეგების თაობაზე. თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტები წახალისებულნი არიან სხვადასხვა ექსტრაკურუკულარულ აქტივობებში, კლუბებში, სპორტულ თუ კულტურულ აქტივობებში მონაწილეობის მისაღებად, რომელთაც მართავს უნივერსიტეტი ან თავად სტუდენტები.(

&2.3 უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამი შესაბამისობაში იქნება ავტორიზაციის ახალ სტანდარტებთან იმ შემთხვევაში თუ უნივერსიტეტს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შედგენის, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა, ასევე სწავლის შედეგები ცხადად არის განსაზღვრული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან.

კონკრეტული ამ სტანდარტის ირგვლივ განვიხილავ საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტს და თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელმწიფო კონსერვატორიას

დავით აღმაშენებლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამების შემუშავებაში და განვითარებაში ინტერვიუებიდან დგინდება, რომ დამსაქმებლები მეტ-ნაკლებად იყვნენ პროგრამების შემუშავებაში ჩართულები (მიმართულებების მიხედვით). ასევე სტუდენტთა ჩართულობა არ ჩანს პროგრამის შემუშავებისას, რადგან სტუდენტთა ინტერვიუების შედეგად არ გამოკვეთილა მსგავსი სიტუაცია, როცა სტუდენტები გამოუკითხავთ კონკრეტული პროგრამის შემუშავების ფარგლებში. ძირითადი ცვლილებები პროგრამებში სახელმძღვანელოების შეცვლას უკავშირდება. უნივერსიტეტში არ არის განხორციელებული შრომის ბაზრის კვლევა, რაც აუცილებელი პირობაა, რადგან შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად უნდა მოხდეს პროგრამის დაგეგმვა და სტუდენტების მომზადება. უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო უნივერსიტეტი სარგებლობს სხვა კვლევითი რესურსებით (სხვა უსდ-ების მიერ ჩატარებული კვლევები). აღსანიშნავია, რომ პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა კანონიერ ინტერესებს და სტუდენტს აძლევს პროგრამის შეუფერხებლად დასრულების შესაძლებლობას, თუმცა უნივერსიტეტს არ აქვს გათვალისწინებული პროგრამის შემუშავებისას პრაქტიკები, რაც აუცილებელია სტუდენტთა ხარისხიანი მომზადებისთვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამები უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის არასავალდებულო კომპონენტების არჩევის შესაძლებლობას, თუმცა, რიგ შემთხვევებში, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მხრიდან ფიქსირდება ნეგატიური დამოკიდებულება პროგრამის სავალდებულო საუნივერსიტეტო საგნების მიმართ.

ექსპერტთა დასკვნის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვანო სარაჯიშვილის სახელმწიფო კონსერვატორია იყენებს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შედგენისა და განვითარების მეთოდოლოგიას. ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტის შემდეგ აღიარებს, რომ ამ მიმართულებით ბოლო წლებში მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა

მიღწეული, მაგალითად, სტუდენტთა გამოკითხვიდან მიღებული გამოხმაურებების მეშვეობით. უნივერსიტეტში როგორც წესი პროგრამის დაგეგმვა, შედგენა და განვითარება მონაწილეობითი პროცესი უნდა იყოს, თუმცა კონკრეტული უნივერსიტეტის მაგალითზე მასში ყველა მონაწილე მხარე არაა ჩართული, მაგალითად დამსაქმებელი, ნაწილობრივ არიან ჩართული. უნდა აღინიშნოს ის დადებით მხარეები რასაც უნივერსიტეტი ახორციელებს, მაგალითად: მუსიკის ტექნოლოგიის პროგრამა მკაფიოდ აუმჯობესებს სტუდენტთან მხრიდან გამოხმაურებებზე რეაგირებას (მაგალითად, სტუდენტთა გამოკითხვა), და ჟიურიში გარე ექსპერტების ჩართვა აგრეთვე ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამების ცხადია, რომ კონსერვატორია მუშაობს თავისი პროგრამების განახლებასა და განვითარებაზე და უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას მუდმივად ცვალებად გარემოსთან (მაგალითად, მუსიკის ტექნოლოგიის პროგრამისა და მუსიკალური ჟურნალისტიკის/მუსიკალური მენეჯმენტის სპეციალობების შემოღება და პედაგოგთა მომზადება). როგორც ჩანს დამსაქმებლების მხრიდან საკმაოდ დიდი ინტერესია რადგან მათ გამოთქვეს სურვილი, რომ კონსერვატორიაში იმოქმედოს ორკესტრის სადირიჟორო კურსმა. ასევე აღინიშნება სურვილი კონსერვატორიის პერსონალის მხრიდან თუმცა, აღინიშნა, რომ ამ კურსთან დაკავშირებით იარსებებდა პრობლემები, რადგან კონსერვატორია ვერ შეძლებდა სტუდენტი დირიჟორებისთვის საკმარისი საშემსრულებლო დროის მიცემას სადირიჟორო ხელოვნების შესწავლისა და თავიანთი უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით. ინტერვიუს დროს აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა დაადასტურა, რომ სილაბუსები ყველა სტუდენტს ელფოსტით ეგზავნება, თუმცა სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ ეს ღონისძიება შეიძლება საკმარისი არ იყოს პროგრამებისა და სილაბუსების შესახებ სტუდენტების ინფორმირების გასაუმჯობესებლად. უნივერისტეტს პროგრამა კანონის შესაბამისად აქვს დანერგილი, თითოეული პროგრამის კომპონენტების მოცულობა განისაზღვრება მათი შინაარსით, სწავლის შედეგებითა და დარგის სპეციფიკით. ექსპერტთა ჯგუფს აქვს შეფასებული კონკრეტულად ის მოთხოვნები თუ კანონის თანახმად როგორ უნდა იყოს გაწერილი პროგრამის შემუშავება, თუმცა ექსპერტთა დასკვნაში არ არის ყურადღება გამახვილებიული თუ არის გადამოწმებული შესრულების ხარისხი, არ არის ნახსენები,

რომ მათ კონკრეტულ სტანდართთან დაკავშირებით ჰქონდათ სტუდენტებთან სიღრმისეული ინტერვიუ, რომ დაედგინათ რამდენად რეალურად ხორციელდება შედგენილი პროგრამის პრაქტიკაში დანერგვა.

სწავლის შედეგების შეფასების კონსერვატორიაში არსებული სისტემა ითვალისწინებს მუსიკის დარგში არსებულ მოთხოვნებს, და მოიცავს სათანადო შეფასების ფორმატებს, კომპონენტებსა და მეთოდებს, რომლებიც სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს დაადასტურონ თითოეული პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა. შეფასების სისტემა და მასთან დაკავშირებული რეგულაციები მკაფიოდაა აღწერილი და ისინი შეესაბამება საქართველოს სამართლებრივ აქტებს. სტუდენტების განმარტებით, მისაღები გამოცდებისა და საბოლოო გამოცდებისთვის, გამოცდას ატარებს ხუთი პირისგან შემდგარი კომისია. თითოეული პირი წერს ნიშანს და ყველაზე დაბალი და ყველაზე მაღალი ნიშანი მხედველობაში არ მიიღება.

რაც შეეხება ამ სტანდართთან დაკავშირებით ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებას, იგი ცვლის ექსპერტთა შეფასებას „მეტწილად შესაბამისობაშია“ შეფასება ”შესაბამისობასიაში“-ით. ამ სტანდარტთან დაკავშირებით დაწესებულების რექტორის განმარტებით დაწესებულებაში დანერგილი იყო შეფასების მეთოდი, რომელიც საერთაშორისო კონკურსების ჟიურის ყველაზე ობიექტურ შეფასების სტრატეგიას წარმოადგენს.

&2.4 უსდ-ს პერსონალი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სახელფასო პოლიტიკა არის განსხვავებული და საჭიროებს დამუშავებას, რადგან ხელფასები განსხვავდება არა მხოლოდ შესასრულებელ სამუშაოსა და თანამდებობაზე დაყრდნობით, არამედ სამუშაო პოზიციის ადგილმდებარეობითაც. ფაკულტეტების დაფინანსების განსხვავებული ოდენობა გამოიხატება სხვადახვა ფაკულტეტის წევრებს შორის განსხვავებულ ხელფასებით. აკადემიური პერსონალის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი არ არის ნათელი. უნივერსიტეტში ნაკლებია ახალგაზრდების ჩართულობა სწავლებასა და სამეცნიერო

კვლევებში. ასევე სტუდენტთა ინტერვიუებიდან გამომდინარე უნივერსიტეტში არის სწავლების ძველი მეთოდი, რაც შესაძლოა დაკავშირებულია ასაკიან პროფესორებზე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში არის მითითებული, რომ აკადემიურმა საბჭომ ცოტა ხნის წინ დაუჭირა მხარი პოლიტიკას, რომელიც საშუალებას აძლევს 65+ კანდიდატებს მონაწილეობა მიიღონ აკადემიური თანამდებობების დასაკავებელ კონკურსებში. ექსპერტთა აზრით, „იმისათვის, რომ ახალგაზრდა პერსონალისთვის გაიზარდოს შანსები, რეკრუტირების პროცედურები უნდა იყოს ღია, გამჭვირვალე და სამართლიანი. ვაკანსიები უნდა გამოცხადდეს საჯაროდ და იყოს რეალური (რაც იმას ნიშნავს, რომ არ უნდა არსებობდეს ფორმალური საშუალება წინასწარ შერჩეული კანდიდატის ასარჩევად).“ (https://eqe.ge/res/docs/TSUfinalreportfinalGEO.pdf) ბოლოს გამოთხოვილია 17.06.2019წ.], თუმცა არსებული რაელობა თსუ-ში სულ სხვა აღმოჩნდა, რადგან ბოლო ორი თვის განმავლობაში უნივერსიტეტში გამოცხადებული იყო 319 ვაკანსია, რომელიც საჯარო იყო და ყველა დაინტერესებულ პირისთვის ხელმისაწვდომი.

&2.5 სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

ნაშრომზე მუშაობისას აღმოჩნდა, რომ იმ უნივერსიტეტებს, რომელტაც გაიარეს ავტორიზაცია ყველაზე ნაკლები ხარვეზები ჰქონდათ ავტორიზაციის მე-5 სტანდარტთან, ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებაც და საბჭოს წევრთა შეფასებაც ძირითადად იყო ერთნაირი და მოიცავდა შეფასებას „შესაბამისობაშია“ ან მეტწილად შესაბამისობაშია“ ავტორიზაციის განახლებულ სტანდარტებთან. როგორც ვიცით ეს სტანდარტი დაკმაყოფილებული იქნება, თუ თითოეული საგანმანათლებლო დონისთვის, უსდ-ს აქვს შემუშავებული რეგულაციები სტუდენტის სტატუსის მინიჭების, შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ, ასევე რეგულაციები მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების,

საგანმანათლებლო დოკუმენტაციის გაცემისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების შესახებ.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ვიზიტისას დგინდება, რომ უნივერსიტეტს გააჩნია სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები. ვიზიტიდან ირკვევა, რომ - ეთიკის კომისია პასუხიემგებელია როგორც ეთიკის, ისე სხვა საკითხებზე, ცუდი ფაქტი ფიქსირდება ის, რომ უნივერსიტეტში საბუთების დონეზე არსებობს ეთიკის კოდექსი, ფორმალურ დონეზე არსებობს ინტერესების დაცვის მექანიზმები, თუმცა ინფორმირებულობა ამ საკითხის მიმართ სტუდენტებს შორის დაბალია, რადგან ინტერვიუების შედეგად აღმოჩნდა, რომ იმ შემთხვევაში თუ მათ პრობლემა შეექმნებათ ეთიკის დარღვევასთან დაკავშირებით მათ არ იციან ამ შემთხვევაში ვის მიმართონ.

ექსპერტთა დსკვნაში მითითებულია, რომ სტუ-ს სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისები ყოვლისმომცველია და მოიცავს სტუდენტურ თვითმმართველობასა და კულტურის, სპორტისა და სოციალურ საკითხთა დეპარტამენტს, რომელთაგანაც ორივე პასუხისმგებელია სტუდენტებზე საკუთარი მანდატის ფარგლებში, თუკი არსებობს ეს მექანიზმი უნივერსიტეტში მაშინ რატომ არის პრობლემა რომ სტუდენტთა ინფორმირებულობის დონე როგორც ინტერვიუებიდან აღმოჩნდა დაბალია, აქედან გამომდინარე ვაწყდებით ექსპერტთა დასკვნების ურთიერთსაწიინააღმდეგო შეფასებებს. უნივერსიტეტს აქვს შემოღებული აპლიკაცია „სტუ-ს ცხრილები“ ეს აპლიკაცია მოქნილია და უპირატესობაა სტუდენტებისთვის და ასევე უნივერსიტეტებისთვის, რადგან აქ იდება ბევრი ინფორმაცია დაგეგმილი გამოცდების, მოიცავს კვირის განრიგს, პროგრამის აღწერილობას, ყველა არჩევითს და იმის შესაძლებლობასაც კი, რომ ატეხონ განგაში რომელიმე საგნის და/ან შესაძლო გამოცდის თუ პრეზენტაციის გამო, თუმცა ამ შემთხვევაშიც სტუდენტთა ანონიმურობა არ იქნება დაცული, რადგან ამ პროგრამაში შესასვლელად სტუდენტს შეყავს თავისი პირადი მონაცემები, ხარვეზად შეგვიძლია მივიჩნიოთ ის ფაქტიც რომ ეს აპლიკაცია შექმნილია სამ ენაზე. შესვლისას სტუდენტს შეუძლია მონიშნოს ის ენა რომელიც მას უნდა, თუმცა

დაბრკოლებას წარმოადგენს საერთაშორისო სტუდენტებისთვის ის ფაქტი, რომ სისტემაში განთვსებული ნებისმიერი ინფორმაცია ქართულ ენაზეა და მათთვის უკვე გაუგებრობას წარმოადგენს. ეს არის ის ძირითადი ხარვეზები რაც ამ კუთხით უნივერსიტეტში არსებობს, სწორედ ამ ფაქტებზე დაყრდნობით ექსპერტთა დასკვნაში სტანდარტი სეფასებულია როგორც, ნაწილობრივ სესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

უნდა ავღნიშნო, რომ ამ სტანდარტთან დაკავშირებით სხდომაზე არ ყოფილა დიდი ყურადღება გამახვილებული, იყო მხოლოდ რექტორის არგუმენტი, რომელიც ვფიქრობ ექსპერტთა ჯგუფის წევრებს ისედაც ქონდათ აღნიშნული, რომ პროგრამაში შესვლისას სტუდენტებს შეეძლოთ ენის შეცვლა, თუმცა ვფიქრობ რომ ეს არ იყო სათანადო არგუმენტი და ავტორიზაციის საბჭოს წევრები ლმობიერად მიუდგნენ ამ სტანდარტს და შეაფასეს, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტებთან.

&2.6 კვლევა განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

კვლევითი უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად, თსუ-ს კვლევა და ინოვაციური საქმიანობა თავის უპირველეს სტრატეგიულ მიმართულებად აქვს გამოცხადებული, თსუ-ში 16 კვლევითი ინსტიტუტი გაერთიანდა, თსუ-ში მართალია, არაა აღიარებული, მაგრამ დოქტორანტების უმრავლესობა ნახევარ განაკვეთზე მუშაობს; ბევრმა მათგანმა შეიჩერა სტატუსი. ამით აიხსნება დოქტორანტურის დამთავრების დაბალი მაჩვენებელი. უნივერსიტეტში გამოიკვეთა შემდეგი სახის დარღვევა, რომ სამედიცინო ფაკულტეტზე დოქტორანტები ხელმძღვანელების მიერ შერჩეული იყვნენ არა რაიმე ახალი კვლევის საფუძველზე, არამედ მათ მიერ ადრე შესრულებული საქმის საფუძველზე. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, აკადემიური და სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შეფასების ახალი პროცედურა ცოტა ხნის წინ დაამტკიცა აკადემიურმა საბჭომ. ეს ახალი პროცედურა მოიცავს განხორციელებული საქმიანობის შესახებ თვითშეფასების ანგარიშებსა და მონაცემთა ფართო სპექტრს. თუმცა, სასურველია, რომ არ მოხდეს ზედმეტად კონცენტრირება პუბლიკაციებზე.

სსიპ. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს მთავარი გამოწვევა აქვს კვლევის მიმართულებიტ, კვლევითი ზალისხმევის თავიდან აცილების მიზნით, პირველ ეტაპზე მნიშვნელოვანი იყო გაკეთებულიყო კვლევითი აქტივობების იდენტიფიცირება,

კვლევის ზოგიერთი პრიორიტეტი უკვე ზუსტად არის ნახსენები ბსუ-ს სტრატეგიულ დოკუმენტებში და უმეტესად ეხება კვლევითი ინსტიტუტების დღის წესრიგს, თუმცა უნივერსიტეტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ კვლევა დაკავშირებულია საკმაოდ დიდ ხარჯებთან და მნიშვნელოვანია ისეთი დისციპლინებში ჩაატაროს კვლევა, რომელიც უფრო ნაკლებ ხარჯიანი იქნება. ბსუ-ს დამკვიდრებული აქვს პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასებისა და მონიტორინგის გარკვეული პროცედურები, თუმცა სამომავლოდ ისინი საჭიროებს ზუსტ მოთხოვნებს, რომლებიც ასახავს პუბლიკაციებისა და კვლევის ობიექტურობის ხარისხს, ისე, რომ იგი შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს ყველა სფეროში. ბსუ-ს აქვს კვლევის დაფინანსების სისტემა და ამ საქმის დაჩქარების სტრატეგია. ბსუ-ში არის ძალისხმევა ყველა დონის მკვლევარების ახალ პროექტებში ჩართვის მიზნით. ახალგაზრდა მკვლევარების მოზიდვის ზუსტი და კარგი სტრატეგია ჯერ კიდევ შესამუშავებელია. ამ მომენტისათვის, უნივერსიტეტს გააჩნია კვლევის ხარისხის შეფასებისა და ანალიზის პროცედურები, ეს პროცედურები შესაძლოა გახდეს კვლევითი აქტივობების შემდგომი განვითარების საფუძველი, იმის უზრუნველყოფით რომ ისინი გახდება უფრო რთული, კვლევის ხარისხზე და ინტერნაციონალიზაციაზე ორიენტირებული. გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი უფრო მკაცრი უნდა იყოს მისი კვლევითი პრიორიტეტების განსაზღვრაში და საჭიროებს მათი ხელშეწყობის პოლიტიკას, რადგან როგორც სადოქტორო პროგრამების მქონე უნივერსიტეტი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს მოეთხოვება იყოს აქტიური კვლევითი უნივერსიტეტი. უნდა აღინიშნოს, რომ ამ უნივერსიტეტს გააჩნია საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურები დისერტაციების შეფასებისა და დაცვისთვის, რომლებიც შეესაბამება სფეროს სპეციფიკას, არსებობს რიგი აქტივობებისა, რომელთა მეშვეობით გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი ეხმარება სამეცნიერო კვლევებს უნივერსიტეტში. კვლევების შედეგები არ არის შთამბეჭდავი, მაგრამ არსებობს კვლევით ველზე უნივერსიტეტის განვითარების მტკიცე პერსპექტივა.

აგრარული უნივერსიტეტი ამ სტანდარტთან მიმართებით არის შეფასებული, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტებთან, რადგან საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტს აქვს 15 კვლევითი ინსტიტუტი, რომლებშიც 30-ზე მეტი ლაბორატორიაა. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სამი დამოუკიდებელი ლაბორატორია, რომლებიც არც ერთი ინსტიტუტს არ ექვემდებარება. საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალს 2013-დან 2018 წლების პერიოდში გამოქვეყნებული აქვთ 105 წიგნი, მონოგრაფია და ა.შ. უნივერსიტეტს აქვს სამეცნიერო მომსახურების ოფისი (კვლევების ორი კოორდინატორი), რომელთა ფუნქციაში შედის პერსონალისთვის საგრანტო დაფინანსების ხელმისაწვდომობის გამარტივება წარმომადგენლები პერიოდულად ესწრებიან ადგილობრივი და საერთაშორისო ფონდების შეხვედრებს, უზიარებენ ინფორმაციას უნივერსიტეტის პერსონალს და ატარებენ მათთან სათანადო კონსულტაციებს.

&2.7 მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

როგორც ვიცით სტუ-ს აქვს საკმაოდ ბევრი შენობა, რაც შთამბეჭდავია, ექსპერტთა ჯგუფმა მოინახულა სხვადასხვა ფაკულტეტის 9 შენობა, ლაბორატორიების და სამკითხველოების დიდი დიაპაზონით და ასევე, ცენტრალური ბიბლიოთეკა. ადგილზე ვიზიტმა გამოავლინა, რომ შენობებს გააჩნიათ ყველა აუცილებელი სექციები, საგანმანათლებლო და დამხმარე ფართები, თუმცა პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე, ჩემი შეფასებით მე-8, მე-5 და პირველ შენობას ვერ შევაფასებდი დადებითად, რადგან ჰიგიენური თვალსაზრისით ძალიან დიდი ხარვეზები აღენიშნება უნივერსიტეტს, თუმცა ექსპერტთა ყურადღება ნაკლებად არის გამახვილებული სტანდარტის შეფასებისას ამ თვალსაზრისით. მართალია შენობების ნაწილი უკვე განახლებულია და შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებსა და პრაქტიკას, თუმცა, შენობების ძალაინ დიდი ნაწილი კიდევ საჭიროებს განახლებას. სტუ-ს მონახულებული

შენობები - საკლასო ოთახები, სამკითხველოები, ცენტრალური ბიბლიოთეკა, ლაბორატორიები და ა.შ. - აღჭურვილია საგანმანათლებლო და კვლევითი პროგრამებისათვის აუცილებელი სიმძლავრეებით და IT აღჭურვილობით და უზრუნველყოფს ამოცანებისა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას. ინსტიტუცია, ასევე, იძლევა წერილობით მტკიცებულებებს (ხელშეკრულებებს, ინვოისებს, ინვენტარიზაციის მასალებს და სხვ.) რაც ადასტურებს უფლებებს ლიკვიდურ აქტივებზე. ყველა მონახულებულ სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში გამოფენილია უსაფრთხოების წესები და/ან გამაფრთხილებებლი ნიშნები კედლებზე. მატერიალურ რესურსში ერთ-ერთ ხარვეზად შეიძლება მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ სტუ-ს არა აქვს განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ადამიანებისადმი ადაპტირებული გარემო, რაც საქართველოში არსებული უნუვერსიტეტთა უმრავლესობის პრობლემაა.

ექსპერტთა ჯგუფს ყურადღება გამახვილებული აქვს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაზე და აღსანიშნავია, რომ ამ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა საკმაოდ მდიდარია

უნივერსიტეტი უწყვეტად განაახლებს ბიბლიოთეკის რესურსებს იმისათვის, რომ მიუსადაგოს აკადემიური საზოგადოებისა და სტუდენტთა საჭიროებებს. პროგრამის დაგეგმვას, მის განხორციელებას და სწავლის შედეგებზე გასვლას სჭირდება შესაბამისი ლიტერატურა, ხშირ შემთხვევებში უნივერსიტეტებს აქვთ პროგრამა შემუშავებული მისაღები შედეგებისთვის გაწერილი ლიტერატურის დიდი სია, თუმცა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებში არ მოიპოვება ეს მასალები, რაც ცუდად აისახება ავტაროზაციის სტანდარტის დაკმაყოფილებაზე, ხოლო ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა არჭურვილია შესაბამისი ლიტერატურით.

სტუს-ის ფინანსურ რესურსთან დაკავშირებით, ამ სტანდარტის ფინანსური რესურსები გაანალიზდა საქართველოს კანონმდებლობისა და უმაღლესი განათლების დაფინანსების პოლიტიკის რისკების მენეჯმენტის პრობლემასთან დაკავშირებით, არც თვითშეფასების ანგარიშში და მისი დამხმარე დოკუმენტაციაში, არც გასაუბრებების შედეგად არ გამოვლენილა უნივერსიტეტის მკაფიო ხედვა ამ საკითხთან დაკავშირებით.

სწორედ ამ სტანდარტთან მიმართებით, საბჭოს სხდომაზე დაწესებულების ადმინისტარციის ხელმძღვანელის განმარტებით, ფინანსური რესურსების შეფასებისას მტკიცებულებები და ინდიკატორები განსაზღვრავდნენ დაწესებულების მდგომარეობას. დაწესებულების წარმომადგენლები ეთანხმებიან ექსპერტთა დასკვნაში მითითებულ რამოდენიმე რეკომენდაციას, მაგალითად: სამედიცინო კაბინეტში ცხელი წყლის არ არსებობა, რაც ცოტა ხარჯებზეა და დროზეა დაკავშირებული და ამის აღმოფხვრა მეტად მარტივადაა შესაძლებელი, თუმცა არის წინაარმდეგობა შემდეგ დასკვნასთან, რომ შენობებში ლიფტთან მისასვლელად აუცილებელია კიბის გავლა, რაც შესაბამისად შეზღუდვა იქნებოდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, დაწესებულების წარმომადგენელი უარყოფს ამ ფაქტს და მისი არგუმენტით რომ დასკვნაში არსებული ინფორმაცია არ შეესაბამებოდა რეალობას რადგან მე-6, მე-8, მე-9, მე-10 კორპუსები აღჭურვილი იყო ლიფტებით, სადაც შშმ პირებს თავისუფლად შეეძლოთ გადაადგილება.

ამ სტანდართთან დაკავშირებით, არსებული ხარვეზების მიუხედავად უნივერსიტეტის მატერიალური რესურსსის შეფასება საბჭომ გადაწყვიტა, რომ უნდა შეფასებულიყო როგორც მეტწილად შესაბამისობაშია, და ამის არგუმენტად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ საბჭოს წევრის განმარტებით ის არ უყურებს და აფასებს ამჟამინდელ რეალობას, არამედ ის ფასებს იმ გეგმებს რაც რეალურია ამ კუთხით გაუმჯობესებისთვის.

დასკვნები

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში დიდი ყურადღება ეთმობა ავტორიზაციის ახალი სტანდარტების პილოტირების პროცესს.

ავტორიზაციის ახალი სტანდარტების დაკმაყოფილების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა შეძლოს ხარისხიანი განათლების მიცემა,

ჩემს მიერ განხილულმა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნებმა და საბჭოს გადაწყვეტილებებმა გამოკვეთა სხვადასხვა სახის პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია უშუალოდ უნივერსიტეტებთან , მათ მზაობას ახალ სტანდარტებთან და

ასევე პრობლემები გამოიკვეთა ექსპერტთა დასკვნებსა და საბჭოს გადაწყვეტილებებს შორის.

არსებული ინფორმაციის საფუძველზე, შესაძლებელია გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნა, რომ ავტორიზაციის პროცესი საწყის ეტაპზე „ლმობიერად“ მიმდინარეობს, რადგან ექსპერტთა დასკვნების მიუხედავად ხშირ შემთხვევებში საბჭოს წევრები ცვლიდნენ საბოლოო გადაწყვეტილებებს.

ცალკეული პრობლემა გამოიკვეთა, რომ საბჭოს ოქმებში არ არის რეალური არგუმენტი იმისა თუ რის საფუძველზე ცვლიდნენ საბჭოს წევრები შეფასებებს.

დღეისათვის, უნივერსიტეტთა უმრავლესობა არ არის მზად, რომ ავტორიზაცია გაიარონ ახალი სტანდარტების შესაბამისად. ამიტომაც შესაძლოა ვიფიქროთ, რომ რიგი მიზეზებიდან გამომდინარე ავტორიზაციის საბჭოს წევრები საბოლოო შეფასებას ცვლიან და ხშირ შემთხვევებში შეგვიძლია ვთქვათ, რომ უნივერსიტეტებს აძლევენ გამოსაცდელ ვადას რომ 6 წლის განმავლობაში გამოასწორონ ის დარღვევები, რაც რეკომენდაციის სახით არის გაცემული.

ნაშრომზე მუშაობისას გამოიკვეთა შემდეგი სახის პრობლემები:

- უსდ-ის უმეტესობას გაუაზრებლად აქვს შედგენილი დაწესებულების მისია, რაც ეჭვის საფუძველს გვაძლევს, რომ აქვთ გადმოტანილი სხვა უნივერსიტეტის მისია.
- დაწესებულების მისიის განაცხადი ნაწილობრივ არის ცნობილი აკადემიური პერსონალისთვის, განსაკუთრებით სტუდენტებისთვის.
- სტუდენტების და დამსაქმებლების ნაკლები ჩართულობაა უნივერსიტეტის მისიის განაცხადის შექმნაში, და ნაკლებადაა გათვალისწინებული ბაზრის მოთხოვნილება;
- უნივერსიტეტების უმრავლესობის სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების მეთოდოლოგია არ არის რეალისტური, საუბარია ზოგად მეთოდებზე და ყურადღება არ არის გამახვილებული კონკრეტულ იმ მეთოდოლოგიაზე თუ უშუალოდ თვითონ რას გამოიყენებენ დასახული მიზნის

მისაღწევად, ასევე შესასრულებელი სამუშაოს გეგმა არ არის პრიორიტიზირებული;

- კერძო უნივერსიტეტების შემთხვევაში მე-4 სტანდარტში უზუსტობებია, რადგან ძირითადად ყველა დეპარტამენტი ექვემდებარება უშუალოდ რექტორს, და ხშირ შემთხვევებში დაწესებულებაში დასაქმებულმა პერსონალმა არ იცოდა რომელ დეპარტამენტს ექვემდებარებოდნენ და ხშირ შემთხვევაში ისინი ამბობდნენ, რომ რექტორს ექვემდებარებოდნენ.
- უნივერსიტეტებში სტუდენტთა ინფორმირებულობის დაბალი დონეა.
- უნივერსიტეტებში არ არის ბოლომდე უზრუნველყოფილი სტუდენტების წარმომადგენლობა როგორც სტრატეგიულ, ასევე გადაწყვეტილების მიმღებ, საკონსულტაციო და აღმასრულებელ ორგანოებში, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში
- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს უჭირთ ავტორიზაციის მე-6 სტანდარტის დაკმაყოფილება, რადგან რიგ შემთხვევებისა უნივერსიტეტები ვერ ან არ ახორციელებენ კვლევებს, რაც ერთის მხრივ უნივერსიტეტის პასიურობითაა გამოწვეული და მეორე მხრივ კი არასათანადო ბიუჯეტით.
- ხშირი შემთხვევებში, უნივერსიტეტებში არსებობს ფორმალურ დონეზე პლაგიატის აღმოჩენის მექანიზმი, თუმცა სტუდენტებთან არ იყო გაზიარებული ის ინფორმაცია თუ რა საფრთხის წინაშე იქნებიან ისინი პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში;
- სტრუქტურულ ერთეულებს შორის თანამშრომლობა ნაკლებია, თითოეული დეპარტამენტი იცნობს მხოლოდ თავის მოვალეობას და შესასრულებელ საქმეს;
- უნივერსიტეტის წარმომადგენლები ხშირ შემთხვევაში არ იღებენ ექსპერტთა რეკომენდაციებს და არ იზიარებენ მას, ექსპერტთა რეკომენდაციები და რჩევები უნივერსტეტის წარმომადგენლების მხრიდან იქნა მიღებული, როგორც კრიტიკა
- ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნები და ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებები ხშირ შემთხვევში არა არგუმენტირებულია და ბუნდოვანი რჩება, თუ კონკრეტული შეფასება რის საფუძველზე ხდება.

- საბჭოს სხდომაზე ზეპირი მოსმენების საფუძველზე ეჭქვეშ დგება ექსპერტთა მიერ განხორციელებული ვიზიტის შედეგად გაკეთებული დასკვნების სანდოობა, რადგან იყო შემთხვევები, როცა დაწესებულების წარმომადგენლის არგუმენტით ექსპერტთა ჯგუფის წევრებს ინტერვიუებისას და თვითშეფასების ანგარიშის გაცნობისას არასწორად ქონდათ გაგებული მიწოდებული ინფორმაცია.
- საბჭოს ოქმში მოცემული ინფორმაცია ძალიან მცირეა და მკითხველს არ აძლევს სრულყოფილ ინფორმაციას საბჭოს წევრების გადაწყვეტილების ცვლილებების საფუძველზე

რეკომენდაციები

არსებული რეალობისა და დასკვნაში გამოკვეთილი პრობლემების საფუძველზე შევიმუშავე შემდეგი რეკომენდაციები:

- უსდ-ებმა ავტორიზაციის პირველი სტანდარტის დაკმაყოფილების მიზნით, შეასწორონ მისიის განაცხადის ფორმატი, ისე, რომ იყოს ლაკონური, კონკრეტული, გარჩევადი, რეალისტური და წინდახედული;

- რეკომენდირებულია, რომ უნივერსიტეტებმა ჩართონ უნივერსიტეტის ყველა პირი პროცესებში, რათა ღირებულებები, ხედვა და ახალი მისია მათი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი გახდეს, იცოდნენ და იზიარებდნენ მათ
- სტუდენტთა ინფორმირებულობის მიზნით,ასევე უკეთესი იქნება თუ ხშირად ჩატარდება საინფორმაციო შეხვედრები და გაიმართება დისკუსიები უნივერსიტეტის მისიის, და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან დაკავშირებით და იქნება მიღებული და გათვალისწინებული მათი მოსაზრებები;
- უნივერსიტეტებმა უნდა ჩაატარონ შრომის ბაზრის კვლევა, შედეგების საფუძველზე შეიმუშაონ სტრატეგიული განვითარების გეგმა, და მისიის განაცხადის ფორმირებისას გაითვალისწინონ დამსაქმებლისა და სტუდენტების შეხედულებები;
- სასურველია მისიისა და ხედვის შესასრულებლად უნივერსიტეტმა მნიშვნელოვნად გაზარდონ თავისი კვლევისა და საგამომცემლო საქმიანობის ხარისხი, რათა უზრუნველყონ სრული შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან;
- რეკომენდირებულია ეთიკის კოდექსის მეტი ხელშეწყობა აკადემიური თავისუფლების პრინციპებისთვის, ეთიკური წესებისა და ქცევის დარღვევის აღმოფხვრის მიზნით, განსსაკუთრებული ყურადღებით პლაგიატის საკითხზე;
- სასურველია უნივერსიტეტებში ყურადღება გამახვილდეს კომპეტენციებზე დაფუძნებულ სწავლაზე და არა მხოლოდ ცოდნაზე დაფუძნებულ სწავლაზე. ეს ნიშნავს, რომ პროგრამის შექმნისას უნივერსიტეტმა უნდა შექმნას სწავლისა და სწავლების ისეთი აქტივობები, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ შეუთავსონ ცოდნის მიღება, უნარები და დამოკიდებულებები კომპტენეციის დონეზე სასწავლად;
- რეკომენდირებულია, რომ უნივერსიტეტებმა შეიმუშავონ სტრატეგია, რომელიც გააძლიერებს თანამშრომლობას სტრუქტურულ ერთეულებს შორის;
- სასურველია უნივერსიტეტებმა უზრუნველყონ სისტემატიური შეხვედრების ორგანიზება სტუდენტებისა და მასწავლებელისათვის, რათა მათ მიაწოდოთ ინფორმაცია მათი რეგულაციების, წესების და პროცედურების შესახებ და დარწმუნდნენ, რომ ინფორმაცია სწორად იქნა აღქმული.

- რეკომენდირებულია საკონსულტაციო მომსახურების მიწოდება კარიერის განვითარების დეპარტამენტის მხრიდან. დეპარტამენტს მჭიდრო კავშირი უდა ჰქონდეს კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.
- სასურველია უსდ-ს ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, დაწესებულების წარმომადგენლები ექსპერტების და საბჭოს წევრების მიერ გაცემული რეკომენდაციები გაითვალისწინონ და არ მიიღონ როგორც კრიტიკა;
- რეკომენდირებულია, რომ ექსპერტთა ჯგუფის უსდ-ში ავტორიზაციის ვიზიტის განხორციელებამდე, უფრო დაკვირვებით და სიღრმისეულად გაეცნონ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ფორმას;
- სასურველია ავტორიზაცისს საბჭოს სხდომაზე უფრო მეტად გამახვილდეს ყურადღება არსებულ პრობლემებზე, მეტი არგუმენტაცია იყოს, როგორც დაწესებულების მხრიდან ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა მხრიდან, თუ რის საფუძველზეა კონკრეტული შეფასება გაკეთებული;
- სასურველია იმ შემთხვევაში, როცა საბჭოს წევრები ცვლიან ექსპერტთა დასკვნაში მითითებულ შეფასებას, მეტი კონკრეტიკა და არგუმენტი იყოს თუ რის საფუძველზე ხდება გადაწყვეტილების შეცვლა;
- უკეთესი იქნება თუ ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი იქნება უფრო დიდი მოცულობის და ოქმში ყურადღება გამახვილებული იქნება საბჭოს გადაწყვეტილების ცვლილებებზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები(ESG2015).ბოლო ნახვა 23.06.2019: http://erasmusplus.org.ge/files/publications/ESG%202015.pdf

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 5 მაისის ბრძანებაში (ბრძანება№77/ნ) ბოლო ნახვა 17.06.2019: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3658758?publication=0

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №77/ნ,"საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ"საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1ოქტომბრის №99/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ.ბოლო ნახვა 12.06.2019: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3658758?publication=0

უსდ-ს ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი2018, ბოლო ნახვა 23.06.2019: https://eqe.ge/res/docs/TSUfinalreportfinalGEO.pdf

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი №27, ბოლო ნახვა 15.05.2019: https://eqe.ge/res/docs/.%E1%83%A1.%E1%83%93.%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%98N2708.12.2018.pdf

ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნები და საბჭოების გადაწყვეტილებები, ბოლო ნახვა 27.06.2019: https://eqe.ge/geo/decisions/30?token=ac55a2fabd8b0200f9a3bcc01f1ead69&search_text=&search_index=1&day=&month=&year=&process=1&soviet=1